საქართველოში ევროპის კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელს
საგანგებო და სრულფლებიან ელჩს **ფილიპ დიმიტროვს**

საქართველოში ამერიკის შერთებული შტატების საგანგებო და
სრულუფლებიან ელჩს **რიჩარდ ნორლანდს**

ევროპის საბჭოს კონგრესის პრეზიდენტის
ბატონ **კეის ვიტმორს**

ევროპის საბჭოს კონგრეისის გენერალურ მდივანს
ბატონ **ანდრეს კიფერს**

ეუთოს გენრალურ მდივანს
ბატონ **ლამბერტო ზანიერს**

ეროპის რეგიონთა კომიტეტის
პრეზიდენტს ბატონ **რამონ სისოს**

აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების რეგიონული და
ადგილობრივი ხელუფლებათა მუდმივმოქმედი კონფერენციის
თანათავჯდომარეს **დორინ კრისტოაკას**

ეუთოს მოკლევადიანი სადამკვირებლო მისიის
სპეციალურ კოორდინატორს ბატონ **ტონინო პიკულას**

ევროპის რეგიონთან და მუნიცპალიტეტთანა საბჭოს
გენრალურ მდივანს ბატონ **ფრედერიკ ვალიერს**

<u>საჯარო გამოქვეყნებისთვის</u>

**საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის
ეროვნული ასოციაციის მიმართვა**

5 ოქტომბერი 2012

ბატონებო და ქალბატონებო

2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების მიერ შეფასებული იქნა როგორც სამართლიანი, დემოკრატიული და თავისუფალი. ამ არჩევნების შედეგად პირველად საქართველოს ისტორიაში მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლა, რაც ერთადერთი შემთხვევაა პოსტ საბჭოთა სირცეზე და იგი

წარმოადგენს ქართველი ხალხის საერთო წარმატებას მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა.

საპარლამენტო არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე გამოიკვეთა მეტად საშიში ტენდენცია, კერძოდ არჩევნებში გამარჯვებული კოალიციის "ქართული ოცნება" წარმომადგენლების მხრიდან ადგილობრივი თვითმმართველების ორგანოების თანამდებობის პირებსა და თანამშრომლებზე ზეწოლის და მუქარის ფაქტები. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს ყველა მუნიციპალიტატისა და თვითმართველი ქალაქის ეროვნულ ხმას, მოთმინებას იჩენდა ასეთი ფაქტების მიმართ. მივიჩნევდით, რომ ეს იყო გამარჯვებული კოალიციის აქტივისტების ვოლუნტარული ქმედება, რომელიც გამარჯვების ეფიორიასთან ერთად გადაივლიდა.

ჩვენი მოლოდინის საპირისპიროდ, მოხდა კიდევ უფრო მძიმე ფაქტი. 2012 წლის 5 ოქტობერს, დაახლოებით 4 საათსა და 50 წუთზე. მარნეულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში კოალიცია "ქართული ოცნების" ადგილობირვმა მხარდამჭერებმა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას მოსთხოვა დაეცალათ საკუთარი კაბინეტები და მათთვის დაგდაებარებინათ ძალაუფლება. ამ მუქარას მოყვა მუნიციპალიტეტის გამგებლისა და სხვა პირების ფიზიკური შეურაწყოფა, რის შედაგადაც მუნიციპალიტეტის გამგებელი და ერთი თანამშრომელი მძიმე დაზიანებებთ მუნიციპალური საავადმყოფოში იქნა გადაყვანლი.

ჩვენმა ასოციაციამ ამ ინცინტის შესახებ ინფორმაცია მიიღო 5 საათისთვის, ჩვენ შევხდით როგორც მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს ასევე საავადმყოფოში მოვინახულეთ დაშავებული გამგებელი. მათ დაგვიდასტურეს კოალიცია "ქართული ოცნების" წევრების შემოჭრა მუნციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში და მათი არაკონსტიტუციური მოთხოვნა საქმიანობის შეწყვეტის შესახებ. მოგვიანებით იგივე ფაქტი დაადასტურა მაღალი ავტორიტეტის მქონე სამმა ქართულმა არსამთავრობო ორგანზიაციამ: "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია". "საერთაშირსისო გამჭვირვალეობა საქართველო" და "სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება" (ინფორმაცია იხილე ბმულზე http://www1.interpressnews.ge/ge/politika/216643-arasamthavroboebis-informaciith-marneulis-gamgeobashi-momkhdari-incidenti-qqarthuli-ocnebisq-aqtivistebis-mier-iyo-provocirebuli.html)

საქართველოს ადგილბრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია გამოთქვამს უკიდურეს აღშფოთებას მომხდარი ფაქტის გამო. ჩვენ განვუმარტავთ კოალიცია "ქართული ოცნების" ყველა წევრს, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები განეკუთვნებიან საჯარო ხელისუფლების ცალკე შტოს. მათი დამოუკიდებლობა, საქმიანობის ვადები და ადგილობრივი მოხელეების სტატუსი დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიით. ამრიგად, კოალიცია "ქართული ოცნების" წევრების ქმედებას განვიხილავთ როგორც ადგილობრივი ხელისუფლების მიტაცების ანტიკონსტიტციურ ქმდებას, რაც დასჯადია საქართველოს კანონმდებლობით.

ვაცნობიერებთ რა, რომ ადგილობრივი ხელისუფების წარმომადგენლებზე ზეწოლის ფაქტებმა სისტემატიური სახე მიიღო; ვხედავთ რა, რომ სახეზეა მცდელობა ცენტრალურ დონეზე ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა გადაზარდონ ადგილობრივი ხელისფლების მიტაცების ანტიკონსტიტიუციურ პროცესად, ვაცხადებთ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია წინ აღუდგება და რეაგირებას მოახდენს ყველა ასეთ შეთხვევაზე.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას არ დაუშვას მსგავსი ანტიკონსტიტუციური აქტის განმეორების შესაძლებელობა. ასვე მოგმართავთ თქვენ, მაღალი მანდატით აღჭურვილ საერთაშორისო ორგანიზებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენელბს რათა მოუწოდოთ კოალიცია "ქართულ ოცნებას" და მათ მხარდამჭერებს პატივი სცენ ადგილობრივი თვითმმარველობის ორგანოების კონტიტუციურ უფლებებსა და გარანტიებს. დარწმუნებული ვართ თვენი მკაფიო პოზიცია თავიდან აგვაცილეებს შემდგომ ექსცესებს